საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "04" 03 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 195/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 5 თებერვლის N 70734/03 განაცხადით შპს „Europharma Georgia ევროფარმა ჯორჯია"-ს (მის: თბილისი, მაჩაბლის ქ. N5) წარმომადგენელმა ნია მასიუკოვიჩმა მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „Colispas / კოლისპასი" (რეგ. N 23412) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „Colispas / კოლისპასი" (რეგ. N 23412) საქართველოში რეგისტრირებულია 04.03.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 04.03.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „Colispas / კოლისპასი" (რეგ. N 23412) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 172, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 04.03.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს „Europharma Georgia ევროფარმა ჯორჯია"-ს წარმომადგენელს ნია მასიუკოვიჩს (მის: თბილისი, მაჩაბლის ქ. N5).

ასლი დედანთან სწორია
04 03 2013 წ.
მდივანი